

განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია/ BIOLOGY
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პირველი ნაწილი: ბიოლოგიის მაგისტრი/MASTER OF BIOLOGY მეორე ნაწილი: კვლევის მაგისტრი ბიოლოგიაში/RESEARCH MASTER IN BIOLOGY
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი რუსუდან ხუხუნაიშვილი - Rurudan.khukhunaishvili@bsu.edu.ge პროფესორი მარინა ქორიძე - koridze.marina@bsu.edu.ge ასოც. პროფესორი მარინა ნაგერვაძე - Nagervadze.marina@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	პირველი ნაწილი -60 ECTS მეორე ნაწილი -60 ECTS
სწავლების ენა	ქართულ ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პირველი ნაწილი: <ul style="list-style-type: none"> ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მეორე ნაწილი: <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: პროგრამის პირველი ნაწილი <ul style="list-style-type: none"> ✓ მოამზადოს კვალიფიციური, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მაგისტრი ბიოლოგიის სამ ძირითად კონცენტრაციაში: ბიომრავალფეროვნება, გენეტიკა და ჰიდრობიოლოგია. ✓ ბიომრავალფეროვნების კონცენტრაციის მიმართულებით შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიომრავალფეროვნების აქტუალური პრობლემების და ადგილობრივი ფლორისტული კომპლექსების შესახებ; ✓ გენეტიკის კონცენტრაცია მოამზადებს სპეციალისტს გენეტიკური კანონოზომირებების, გენომის ფუნქციონირებისა და გენის ექსპრესიის მოლეკულური მექანიზმების ღრმა და სისტემური ცოდნით;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ ჰიდრობიოლოგიის კონცენტრაციის მიზანია აღჭურვის ცოდნით დედამიწის ჰიდროსამყაროს, შავი ზღვის აუზის ბიომრავალფეროვნების რაციონალური მართვის და მარიკულტურის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. <p>პროგრამის მეორე ნაწილი</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის ახალი, წინააღმდეგობრივი იდეების სისტემურ გააზრებას, სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას და საკუთარი წვლილის შეტანას ბიოლოგიური დარგის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში; ✓ აღზარდოს კონკურენტუნარიანი, მოაზროვნე პროფესიონალი, რომელიც ეთიკური პრინციპების დაცვით შეძლებს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პირველი ნაწილი</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის ყველა კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ცოცხალის ძირითადი ერთეულის - უჯრედის, განვითარებისა და მემკვიდრეობის ძირითადი ერთეულის – გენის მოლეკულური ბიოლოგიის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის ძირითადი სტრატეგიების შესახებ; ✓ ფლობს ლაბორატორიული კვლევის მეთოდებს და შეუძლია მიღებული მონაცემების ბიოსტატისტიკური დამუშავება, კრიტიკული გააზრება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციას. <p>კონცენტრაცია ბიომრავალფეროვნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს ბიომრავალფეროვნების სისტემატიკური, ევოლუციური და ბიოეკოლოგიური საკითხების, საქართველოს ფლორისტული კომპლექსების, დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების, ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი ადაპტაციის თავისებურებების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა. <p>კონცენტრაცია გენეტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს სფეროს უახლოეს მიღწევებზე დამყარებლი ღრმა და სისტემური ცოდნა, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის, ონტოგენეზისა და ორგანოგენეზის, მემკვიდრული პათოლოგიებისა და დაბერების გენეტიკური კანონოზომირებების, გენომის ფუნქციონირების და გენის ექსპრესიის რეგულაციის მოლეკულური მექანიზმების შესახებ. <p>კონცენტრაცია ჰიდრობიოლოგია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა დედამიწის ჰიდროსამყაროს, შავი ზღვის აუზის ჰიდრობიონტების სისტემატიკური და ეკოლოგიური შემადგენლობის შესახებ და ფლობს მარიკულტურის თანამედროვე

	<p>ტექნოლოგიებს.</p> <p>მეორე ნაწილი პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის ყველა კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none">✓ შეუძლია კვლევითი სტრატეგიის შერჩევა და პროექტების დამოუკიდებლად შესრულება აკადემიური პატიოსნების და ეთიკის პრინციპების დაცვით; შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის განსაზღვრა. <p>კონცენტრაცია ბიომრავალფეროვნება:</p> <ul style="list-style-type: none">✓ კლასიკური გეობოტანიკური და GIS მეთოდებისა გამოყენებით შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ველად მუშაობის დროს და სახეობათა რკვევა-იდენტიფიცირების მიზნით. <p>კონცენტრაცია გენეტიკა:</p> <ul style="list-style-type: none">✓ შეუძლია კლასიკური და თანამედროვე მოლეკულური მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება გენეტიკურ, ფილოგენეტიკურ, პოპულაციურ და ბიოსამედიცინო კვლევაში. <p>კონცენტრაცია ჰიდრობიოლოგია:</p> <ul style="list-style-type: none">✓ შეუძლია ჰიდრორესურსების შენარჩუნების, მდგრადი გამოყენების და სარეწაო ჰიდრობიონტა ბუნებრივი კვლავ-წარმოების ეფექტურობის ამაღლების სტრატეგიების შემუშავება, მონიტორინგი მიზანმიმართულად წარმართვა და სათანადო დასკვნის გაკეთება.
--	--